ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 53

“21” თებერვალი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4გ-ში (საკადასტრო კოდები: №01.12.07.005.013.01.634 და №01.12.07.005.013.01.629) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4გ-ში (საკადასტრო კოდები: №01.12.07.005.013.01.634 და №01.12.07.005.013.01.629) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 თებერვლის №23.169.188 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4გ-ში პირველ სართულზე მდებარე 35.88 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.12.07.005.013.01.634) და 28.60 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.12.07.005.013.01.629) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნიკოლოზ ნებიერიძისთვის (პ/ნ 01001033121) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე